

ოქმი # 5

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2017 წლის 10 ოქტომბრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), ნ. ბერიკაშვილი, ვ. გარსევანი-
შვილი, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ხ. ინასარიძე, ი. კილურაძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ა.
ხარაზიშვილი, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 12 წევრისაგან, სხდომას
ესწრებოდა 12 წევრი);

ინსტიტუტის დირექტორობის კანდიდატი.: ნინო ფარცვანია.

დღის წესრიგი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის
კანდიდატურის შერჩევა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც
დამსწრეებს მოახსენა, რომ დირექტორის კანდიდატურის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის
მისაღებად რეგისტრირებულია ერთი კანდიდატი: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ნინო ფარცვანია. ნ. ფარცვანია აკმაყოფილებს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2017 წლის 13 სექტემბრის ოქმი # 3-ით დამტკიცებული „სსიპ -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი
სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის
დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესით“ დადგენილ მოთხოვნებს.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დირექტორობის კანდიდატის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს
წევრებს მოახსენა თავისი სამოქმედო პროგრამა.


საკითხი დადგა კენჭისყრაზე. ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

- 1) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე ერთხმად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის
მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის
მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურად 5 წლის ვადით შერჩეულ იქნა
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნინო ფარცვანია. ნ. ფარცვანია
იმავედროულად არჩეულ იქნა თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის
ინსტიტუტის დიფერენციალური განტოლებების განყოფილების მთავარი მეცნიერი
თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით.
- 2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის
კანდიდატურა ნინო ფარცვანია დასამტკიცებლად წარედგინოს თსუ აკადემიურ საბჭოს.

სხდომის თავმჯდომარე

 თ. ქადეიშვილი

სხდომის მდივანი

 მ. ჯიბლაძე